წერილის ნომერი:**03-802210417**
თარიღი: **14/04/2022**

ადრესატი:

გიორგი ნემსაძე
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გიორგი ნემსაძეს

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების

სამსახურის შტატგარეშე თანამშრომლის ბაქარი ყურაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

2022წლის 10 აპრილს სოფ.ღვირიშის მოსახლეობიდან შემოვიდა შეტყობინება ,რომ ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის ერთ-ერთი მონაკვეთი ძლიერი წვიმების შედეგად ჩაიქცა და გზა გაუმტარი გახდა. ვერ ხერხდება ვერც სახანძრო და ვერც სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის გადაადგილება.

ადგილზე მისვლით გაირკვა, რომ საავტომობილო გზა მართლაც 50გრ/მ-ზე ჩაქცეულია და ნებისმიერი ავტომობილით გადაადგილება შეუძლებელია. იმისათვის, რომ გზა გამტარი გახდეს და აღსდგეს მოძრაობა ალპახა-ღვირიშის დამაკავშირებელ გზაზე, საჭიროა გამოყენებული იქნას მძიმე ტექნიკა (კოდალა), რომელიც დაშლის კლდოვან ქანებს და მოხდება გზის გაფართოება.

გატარებული ღონისძიებების შედეგად მოიხსნება არსებული პრობლემები.

ბაქარი ყურაშვილი

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური-სივრცითი მოწყობისა და ნებართვების გაცემის განყოფილება-შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი